2-7200/26
03-06-2026

საქართველოს პარლამენტის

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარეს,

ბატონ პაატა კვიჟინაძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის

იურიდიული დეპარტამენტის უფროსს,

ბატონ ალექსანდრე ტაბატაძეს

კულტურის კომიტეტის დასკვნა

საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილ **„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშსა“ (№1-5150/26; 29.05.2026) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენებაზე „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე“ (№1-4740/26; 20.05.2026).**

საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტმა, მიმდინარე წლის 2 ივნისს სხდომაზე განიხილა საქართველოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი „საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში“ (№1-5150/26; 29.05.2026) და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილი „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება „2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ“ მთავრობის ანგარიშზე“ (№1-4740/26; 20.05.2026).

2025 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის რეალურმა ზრდამ წინა წელთან შედარებით 7.5 პროცენტი შეადგინა. პირველ კვარტალში ზრდამ 9.9%, მეორე კვარტალში 7.4%, მესამე კვარტალში 6.4%, ხოლო მეოთხე კვარტალში 6.7% შეადგინა. 2025 წელს მთლიანი შიდა პროდუქტი ნომინალურ გამოსახულებაში 104 598.1 მლნ ლარით განისაზღვრა, რაც 12.4 პროცენტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს. მშპ ერთ სულ მოსახლეზე 28 235.4 ლარს (10 296.5 აშშ დოლარი) შეადგენს.

2025 წელს წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა შემდეგი დარგები: ინფორმაცია და კომუნიკაცია (28.7%), განათლება (24.5%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები (12.9%), ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები (12.4%), **ხელოვნება,** გართობა და დასვენება (12.3%), ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები (11.9%), სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა, სავალდებულო სოციალური უსაფრთხოება (9.3%), ტრანსპორტი და დასაწყობება (8.9%), პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები (8.3%).

უშუალოდ კომიტეტის საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული უწყების მიერ საბიუჯეტო ასიგნების ფაქტიური ათვისება გეგმიურ მაჩვენებელთან მიმართებით არის შემდეგნაირი:

- **საქართველოს კულტურის სამინისტრო (33 00)** – 2025 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 321,554.1 ათას ლარს, ფაქტიური შესრულება კი 317,335.9 ათას ლარს (98.7%);
- **კულტურის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა (33 01)** – 2025 წლის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 30,356.9 ათასი ლარი, ფაქტიურმა შესრულებამ კი - 29,540.1 ათასი ლარი (97.3%);
- **კულტურის განვითარების ხელშეწყობა (33 02**) – 2025 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 148,292.9 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური შესრულება 147,269.0 ათას ლარს (99.3%);
- **კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა (33 03)** - 2025 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 63,371.8 ათას ლარს, ფაქტიური შესრულება კი 59,696.3 ათას ლარს (94.2%);
- **სახელოვნებო დაწესებულებების ხელშეწყობა (33 04) -** 2025 წელს დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 9,551.7 ათას ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ კი შეადგინა 9,549.6 ათასი ლარი (100.0%);
- **სახელოვნებო სფეროში უმაღლესი განათლება (33 05**) – 2025 წელს დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 17,294.4 ათას ლარს, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 17,283.4 ათასი ლარი (99.9%);
- **სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრებისა და ლაურეატების სტიპენდიები და სოციალური დახმარება (33 06)** – 2025 წლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 876.7 ათას ლარს, ხოლო ფატიური შესრულება - 2,730.7 ათას ლარს (311.5%);
- **ინფრასტრუქტურის განვითარება (33 07) –** 2025 წელს დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 51,809.6 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ კი 51,266.9 ათასი ლარი შეადგინა (99.0%).

საქართველოს კულტურის სამინისტროსათვის 2025 წლის 12 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტით გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 321 554.1 ათასი ლარი, ხოლო ფაქტიურმა დაფინანსებამ - 317 335.9 ათასი ლარი. საქართველოს კულტურის სამინისტროსათვის გამოყოფილ სახსრებში „ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულებამ შეადგინა 83.9%, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით - 16.1%.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კულტურის კომიტეტმა დადებითად შეაფასა წარმოდგენილი ანგარიში და მხარი დაუჭირა მის პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განხილვას.

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
გიორგი გაბუნია